სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი
13683457810724

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N240786282

რეგისტრაციის თარიღი

24.06.2024 წ

ნოტარიუსი ია ყიფიანი: ია ყიფიანი
მისამართი: ქ. თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზირი # 68
ტელეფონი: 570506164

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
სანოტარო აქტი

ორიათას ოცდაოთხი წლის ოცდაოთხ ივნისს მე, ციური ბერიძეს, ნოტარიუს ია ყიფიანის შემცვლელ პირს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზირი № 68-ში, მომმართა ბატონმა **ნიკა შრაშაძემ** (დაბ.10.05.1988 წელს, პირადი № 01024039992, რეგისტრირებული საქართველო, ქალაქი თბილისი, ფერდინანდ თავაძის ქუჩა, N 3, ბინა 122).

მან წარმოადგინა ამონაწერი არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრიდან მომზადების თარიღი, 08/01/2024 17:32:34 რეგისტრაციის ნომერი B24001420, შპს "ბილდია"-ს (ს.ნ 404535035) შესახებ და განაცხადა რომ სურს როგორც ამ საზოგადოების დირექტორმა და წარმომადგენლობით უფლებამოსილმა პირმა გარკვეული უფლებამოსილება მიანიჭოს ბატონ **ირაკლი ზურაშვილს** (დაბ. 19.11.1999 წელს, პირადი № 14001028000, რეგისტრირებული დედოფლისწყარო დ.აღმაშენებლის ქ. N 18). მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება. პირადობა დადგენილია. ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს. შემდეგ მე შევადგინე მინდობილობის პროექტი, რომელიც წავუკითხე მარწმუნებელს. მან განაცხადა, რომ მასში ასახული აზრი სრულად შეესაბამება მის ნებას. რის შემდეგ ხელი მოაწერა წინამდებარე მინდობილობას ჩემი თანდასწრებით.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორიათას ოცდაოთხი წლის ოცდაოთხ ივნისს, ბატონმა **ნიკა შრაშაძემ** (დაბ.10.05.1988 წელს, პირადი № 01024039992, რეგისტრირებული საქართველო, ქალაქი თბილისი, ფერდინანდ თავაძის ქუჩა, N 3, ბინა 122), როგორც შპს "ბილდია"-ს (ს.ნ 404535035) დირექტორმა - შემდგომში "მარწმუნებელი" სრული უფლებამოსილება მიანიჭა ბატონ **ირაკლი ზურაშვილს** (დაბ. 19.11.1999 წელს, პირადი № 14001028000, რეგისტრირებული დედოფლისწყარო დ.აღმაშენებლის ქ. N 18) – შემდგომში "რწმუნებული"

რწმუნებული უფლებამოსილია იყოს მარწმუნებლის წარმომადგენელი საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, ყველა საჯარო ინსტანციაში, ნებისმიერი მუნიციპალიტეტში, მუნიციპალიტეტის მერიაში, მერიის არქიტექტურის სამსახურში, მუნიციპალურ ერთეულებში, ურბანული დაგეგმარების სამსახურში, ზედამხედველობის სამსახურში, გარემოს დაცვის სამსახურში, სატრანსპორტო სამსახურში, საავტომობილო გზების დეპარტამენტში, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში, მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების სამსახურში, მათ დაქვემდებარებულ ნებისმიერ დაწესებულებებში, რათა მიიღოს საზოგადოების კუთვნილ ნებისმიერიერი უძრავი ქონების მშენებლობის, ექსპლუატაციაში ჩაშვების ნებართვა, სპეცნებართვა, შეათანხმოს პროექტი, მიიღოს არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალება, მარწმუნებლის სახელით შეიტანოს განცხადებები, განაცხადოს თანხმობა მარწმუნებლის მაგიერ, მიიღოს და/ან წარადგინოს ნებისმიერი საჭირო ცნობა და/ან დოკუმენტი, მიიღოს გადაწყვეტილებები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, დაესწროს საქმის განხილვას, მიიღოს ნებართვები, საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს პროექტის კორექტირება, დაარეგისტრიროს პროექტი/დოკუმენტი მარეგისტრირებელ ორგანოში, ატვირთოს მერიის ელექტრონულ საიტზე არსებული დოკუმენტაცია, ხელი მოაწეროს საჭირო დოკუმენტაციას, ხელშეკრულებებს მარწმუნებლის მაგიერ, შეასრულოს ნებისმიერი მოქმედება რაც დაკავშირებულია აღნიშნული დავალების შესასრულებლად.

მინდობილობა გაცემულია 2024 წლის 24 სექტემბრის ჩათვლით მოქმედების ვადით. უძრავი ქონების გაყიდვის, იპოთეკით დატვირთვის უფლების გარეშე.

მინდობილობა ხელმოწერილია სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება სანოტარო ბიუროს არქივში, დანარჩენი მიეცა ხელზე მარწმუნებელს.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური ,,სანოტარო მოქმედებათა შესრულებისთვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის დადგენილება № 507-ისა (29.12.2011 წ.) და ამ დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობის 2022 წლის 30 მაისის დადგენილება № 272-ის 31-ე მუხლის საფუძველზე - 30 ლარი, 39-ე მუხლის საფუძველზე – 5.00 ლარი და საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის საფუძველზე დ.ღ.გ. –5.40 ლარი, ჯამში: 40.40 ლარი

ნოტარიუსის ყიფიანის
შემცვლელი პირი ციური ბერიძე